ოქმი:**ო08. 3726114001**
თარიღი:**24/04/2026**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14:30 – 15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ზ. მორჩილაძე, , მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ლ. კვაჭაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ “-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში(ს/კ 26.19.15.178) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

3. .„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი-

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, აღნიშნა, რომ იგი ეხება სარგებლობის უფლებით მეორადი ეკლარის ქვის ფილების საპატრიარქოსათვის გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი-განაცხადა, რომ აქაც საკითხი ეხებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებასი არსებული დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 850 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საქართველოს ეპარქიისათვის გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 95,1%- თ, გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ სახე „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 81,6%-ით, გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 81,0 %-ს შეადგენს. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 225,1 ათასი ლარი. არსებულ ნაშთებზე, კერძოდ 2026 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 16432,6 ათასი ლარი, მთლიანი ნაშთიდან 4364, 8 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდანაა, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ მართალია სოციალური მიმართულებით სარეზერვო ფონდის ხარჯვის მაჩვენებელი შემცირებულია, მგრამ კვლავ მაღალია. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოს მორიგ სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი